



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



წესდება

ახალქალაქის განვითარების ჯგუფი

2017



West Cork  
DEVELOPMENT PARTNERSHIP

## თავი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 ახალქალაქის განვითარების ჯგუფი (შემდგომში „განვითარების ჯგუფი“) მუნიციპალიტეტის კერძო, სამოქალაქო და საჯარო<sup>1</sup> სექტორის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ სამოქალაქო პლატფორმას წარმოადგენს და ეფუძნება ნებაყოფლობით წევრობას. განვითარების ჯგუფი ეფუძნება LEADER<sup>2</sup> მიდგომის შვიდ ძირითად პრინციპს: ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული განვითარების სტრატეგიის შემუშავება; ქვევიდან ზევით მიმართული გადაწყვეტილებები; პროცესებში კერძო მესაკუთრეთა ჩართულობა; ინოვაციებზე ორიენტირებული იდეების დანერგვა; ინტეგრირებული, მულტი-სექტორული აქტივობები; კონტაქტების დამყარება; კოოპერაციის ხელშეწყობა.

1.2 განვითარების ჯგუფი არის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო და ასრულებს შემდეგ ამოცანებსა და მოვალეობებს:

ა) განსაზღვრავს სოფლის განვითარების პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების გაანალიზების საფუძველზე. თემებთან კონსულტაციების შედეგად გამოავლენს ადგილობრივ საჭიროებებს. ხელმძღვანელობს არსებული ინფორმაციითა და ეროვნული სტრატეგიით, რის საფუძველზეც შეიმუშავებს და ადასტურებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას;

ბ) აწვდის სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ახალქალაქის საზოგადოებას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესახებ და ფართოდ ავრცელებს ინფორმაციას საზოგადოებაში საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურასთან დაკავშირებით და განმარტავს აღნიშნულ პროცედურებს;

გ) ქმნის შეფასებისა და შერჩევის არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე პროცედურებს ქვე-პროექტების განხილვისა და შერჩევის მიზნით;

დ) იღებს და აფასებს ქვე-პროექტების განაცხადს იმ პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ასახულია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში;

ე) არჩევს ძლიერ ქვე-პროექტებს, განსაზღვრავს დაფინანსების ოდენობას და დაფინანსებისთვის წარუდგენს ანგარიშვალდებულ ორგანოს<sup>3</sup>;

ვ) ახორციელებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას, შერჩეული ქვე-პროექტების მონიტორინგს და აფასებს მათ ეფექტურობასა და სარგებელს მუნიციპალიტეტისთვის.

1.3 განვითარების ჯგუფის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.

1.4 წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. იგი შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

1.5 განვითარების ჯგუფის თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<sup>1</sup> წინამდებარე წესდების მიზნებისათვის საჯარო სექტორის წარმომადგენლად ითვლება პირი, რომელიც ანაზღაურებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

<sup>2</sup> ევროპული LEADER (ფრანგული აკრონიმი) მიდგომა გულისხმობს, რომ სოფლის განვითარების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უფრო ეფექტურად ადგილობრივი კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის თანამონაწილეობით მიიღება.

<sup>3</sup> საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და მერსი ქორფსი წარმოადგენენ პროექტის დაფინანსებაზე 15/11/2016-15/07/2020 წლებში ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

დანართი 3: LAG-ის წესდება

1.6 განვითარების ჯგუფის ელექტრონული ფოსტის მისამართია: [akhalkalakilag@gmail.com](mailto:akhalkalakilag@gmail.com)

## **თავი 2. განვითარების ჯგუფის წევრობა**

2.1 განვითარების ჯგუფის წევრობა ნებაყოფლობითი და უსასყიდლოა. განვითარების ჯგუფს ჰყავს მაქსიმუმ 30 წევრი<sup>4</sup>.

2.2 განვითარების ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს ახალქალაქის კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ნებისმიერი ფიზიკური პირი;

2.3 არ დაიშვება განვითარების ჯგუფის წევრობის გადაცემა სხვა პირთათვის ან მისი მემკვიდრეობით გადაცემა.

2.4 სოფლის განვითარების მიდგომის პრინციპების თანახმად ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი კომპლექტდება მინიმუმ 51% კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან და მაქსიმუმ 49% საჯარო სექტორიდან.

2.5 განვითარების ჯგუფის წევრობის შეწყვეტა ხდება წევრის გარდაცვალების, ნებაყოფლობითი გასვლის, ან გარიცხვის გზით.

2.6 განვითარების ჯგუფიდან ნებაყოფლობით გასვლა დაიშვება ნებისმიერ დროს წევრის განცხადების საფუძველზე. გამავალი წევრი ვალდებულია შეასრულოს მის მიერ განვითარების ჯგუფის წინაშე გასვლამდე ნაკისრი ყველა ვალდებულება.

2.7 წევრად მიღება და წევრობიდან გარიცხვა ხდება განვითარების ჯგუფის საერთო კრების მიერ.

2.8 განვითარების ჯგუფის წევრობიდან გარიცხვის საფუძველს წარმოადგენს:

- *განვითარების ჯგუფის ზედიზედ 5 შეხვედრიდან 3 შეხვედრის გაცდენა არასაკმატო მიზეზით*
- *ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება;*
- *განვითარების ჯგუფის ან მისი ცალკეული წევრების მიმართ არაკორექტული ქმედების ჩადენა;*
- *განვითარების ჯგუფის წევრის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციის დადგენილების დარღვევა;*
- *სხვა საფუძველი, რომელსაც განვითარების ჯგუფის საერთო კრება მიიჩნევს არსებითად.*

2.9 ზემოთ აღნიშნული საფუძველების გამო წევრის გარიცხვის და მისი ახალი წევრით ჩანაცვლების საკითხს განვითარების ჯგუფის საერთო კრებაზე დააყენებს LEADER კოორდინატორი, თავმჯდომარე ან ვიცე-თავმჯდომარეები.

## **თავი 3. განვითარების ჯგუფის მართვის ორგანო**

<sup>4</sup> მას შემდეგ, რაც წევრთა რაოდენობა მიაღწევს 30-ს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დატოვონ თავიანთი საკონტაქტო ინფორმაცია „LEADER“ კოორდინატორთან. მათი მონაცემები შევა სარეზერვო სიაში და განიხილება ჯგუფის წევრების როტაციისას.

დანართი 3: LAG-ის წესდება

3.1 განვითარების ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს განვითარების ჯგუფის საერთო კრება, რომელიც დაკომპლექტებულია მაქსიმუმ 30 წევრისგან. საერთო კრებაზე თითო წევრს ერთ საკითხზე აქვს თითო ხმა.

3.2 განვითარების ჯგუფის საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა 50%+1. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში იმართება განმეორებითი შეხვედრა.

3.3 განვითარების ჯგუფის საერთო კრება ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღებისას ხმების მინიმუმ 50% უნდა ეკუთვნოდეს კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.

3.4 განვითარების ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ზედამხედველობას უწევს განვითარების ჯგუფის შეხვედრებს, ხოლო სამუშაოს შესრულებაში მას ეხმარება ორი ვიცე-თავმჯდომარე.

3.5 თავმჯდომარეს და ვიცე თავმჯდომარეებს თავისი შემადგენლობიდან დახურული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება 1 წლის ვადით. ერთიდაიგივე პიროვნება არ შეიძლება არჩეული იქნეს იმავე პოზიციაზე ზედიზედ ორჯერ.

3.6 თავმჯდომარე არის კერძო ან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ერთი ვიცე-თავმჯდომარე არის კერძო ან სამოქალაქო სექტორიდან, ხოლო მეორე ვიცე-თავმჯდომარე საჯარო სექტორიდან.

3.7 თავმჯდომარე წარმოადგენს განვითარების ჯგუფის მესამე პირებთან ურთიერთობისას, ხოლო მისი არყოფნის დროს კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ვიცე-თავმჯდომარე.

3.8 თუ განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე ან ვიცე-თავმჯდომარეები ზედიზედ სამ შეხვედრას გააცდენენ, ან არასათანადოდ შეასრულებენ თავიანთ ფუნქცია-მოვალეობას LEADER კოორდინატორი განვითარების ჯგუფის წინაშე დააყენებს საკითხს მათი დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას პიროვნების დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ იღებს განვითარების ჯგუფი.

#### **თავი 4. პროექტების შეფასების კომიტეტი**

4.1 ახალქალაქის განვითარების ჯგუფის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი ორგანო არის პროექტების შეფასების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტების შეფასებასა და რეკომენდაციების მიწოდებაზე ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში არსებული პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

4.2 პროექტის შეფასების კომიტეტი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილებას იღებს განვითარების ჯგუფის საერთო კრება.

4.3 პროექტის შეფასების კომიტეტის წევრები აირჩევიან განვითარების ჯგუფის წევრების მიერ მათივე შემადგენლობიდან.

4.4 პროექტის შეფასების კომიტეტის შემადგენლობა შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, როტაციის წესით, ან შესაფასებელი პროექტის განაცხადის სფეროს მიხედვით. პროექტის

დანართი 3: LAG-ის წესდება

შეფასების კომიტეტში უნდა იყოს 7 წევრი და მინიმუმ 3 წევრმა უნდა შეაფასოს ყოველი კონკრეტული განაცხადი<sup>5</sup>.

## **თავი 5. „LEADER“ კოორდინატორი**

5.1 „LEADER“ კოორდინატორი ასრულებს ახალქალაქის განვითარების ჯგუფის მდივნის მოვალეობას. იგი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

5.2 „LEADER“ კოორდინატორის თანამდებობაზე პიროვნებას შეარჩევს და დაიქირავებს ანგარიშვალდებული ორგანო<sup>6</sup>.

5.3 „LEADER“ კოორდინატორის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია:

- ახალქალაქის განვითარების ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება/მოწვევა და კოორდინირება/ზედამხედველობა;
- კრების ოქმების მომზადება და მათი გადაცემა განვითარების ჯგუფის წევრებისათვის;
- განვითარების ჯგუფის საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის სწორი თანაფარდობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- განვითარების ჯგუფის წევრებისთვის სემინარების, ტრენინგებისა და სასწავლო ტურების ორგანიზება;
- განვითარების ჯგუფის ხელშეწყობა ქვე-პროექტების განაცხადის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და შეხვედრების ჩატარებაში;
- განმცხადებლებისათვის დახმარების უზრუნველყოფა განაცხადებისა და დამხმარე დოკუმენტაციის მომზადებაში;
- ყველა ქვე-პროექტის განაცხადის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- განვითარების ჯგუფის თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეებთან ერთად ინტერესთა გამოხატვის განაცხადების გაანალიზება და შეფასება და შედეგების გაცნობის უზრუნველყოფა განვითარების ჯგუფისთვის მათ დასამტკიცებლად ან უარსაყოფად;
- სრული ქვე-პროექტის განაცხადების დახარისხებისა და მოწესრიგების უზრუნველყოფა, თითოეული განმცხადებლისა და საპროექტო ადგილის მონახულება, დამატებითი ინფორმაციის და პროექტის იდეასთან დაკავშირებით განმარტებების მისაღებად;
- დამატებითი წერილობითი ინფორმაციის მიწოდება პროექტების შეფასების კომიტეტისათვის თითოეული პროექტის შესახებ, რომელიც უნდა შეფასდეს;
- გადაწყვეტილების მიღებისას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრა და ასეთის არსებობის შემთხვევაში განვითარების ჯგუფის ნებისმიერი წევრის ქვე-პროექტის შერჩევის პროცესიდან გამორიცხვა;
- ინტერესთა რეესტრის წარმოება და განახლება;

<sup>5</sup> თუკი პროექტის შეფასების კომიტეტის თავდაპირველი წევრები კონკრეტულ განაცხადთან მიმართებაში ვერ აკმაყოფილებენ ექსპერტიზის საჭირო დონეს, შესაძლებელია დროებითი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც შეუერთდებიან კომიტეტს. პროექტის შეფასების კომიტეტის წევრები გაივლიან სწავლებას და მიიღებენ დახმარებას, რათა მათი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნას განაცხადების სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება.

<sup>6</sup> LEADER კოორდინატორის დაქირავება მოხდება პროექტის ვადებში 15/11/2016-15/07/2020

დანართი 3: LAG-ის წესდება

- განვითარების ჯგუფის წევრობაზე ახალი განცხადებების მიღება, წევრობიდან გასარიცხი პირის შესახებ განვითარების ჯგუფისათვის ინფორმაციის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება.

## **თავი 6. ანგარიშვალდებული ორგანო**

6.1 ანგარიშვალდებული ორგანო პროექტის „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში“ ფარგლებში ვადით 15/11/2016-15/07/2017 არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და მერსი ქორფსი.

6.2 ანგარიშვალდებული ორგანო პასუხისმგებელია დააფინანსოს განვითარების ჯგუფის მიერ შერჩეული პროექტები, დაიქირაოს LEADER კოორდინატორი და დაეხმაროს განვითარების ჯგუფს (საორგანიზაციო) საქმიანობის წარმართვაში.

6.3 განვითარების ორგანოს არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება ქვე-პროექტების შერჩევისას.

6.4 ანგარიშვალდებულ ორგანოს ევალება ქვე-პროექტების შერჩევასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ღიად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად ჩატარებას.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებული ორგანო დააფიქსირებს ნებისმიერი სახის გადახვევას შეთანხმებული პროცედურებიდან, ან ნებისმიერ ინტერესთა კონფლიქტს, მას აქვს უფლება უარი თქვას შეთანხმების ხელმოწერაზე განმცხადებელთან და არ დააფინანსოს ქვე-პროექტი.

6.6 მას შემდეგ, რაც გაფორმდება ხელშეკრულება განმცხადებელთან, ანგარიშვალდებული ორგანო პასუხისმგებელია ქვე-გრანტის განაცხადის შესახებ წინადადებაში ჩამოთვლილი ყველა დამტკიცებული ნივთის შესყიდვაზე, ან კომპანიების მომსახურების შესახებ კონტრაქტის გაფორმებაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო, ან სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც უნდა შესრულდეს პროექტის ფარგლებში.

6.7 ანგარიშვალდებული ორგანო განვითარების ჯგუფთან ერთად დააკვირდება ქვე-პროექტის განხორციელებას და შეაფასებს პროექტის შედეგებს.

## **თავი 7. პროექტების შეფასება და შერჩევა**

7.1 პროექტების შეფასების კომიტეტი თითოეულ პროექტზე წარუდგენს განვითარების ჯგუფის საერთო კრებას შეფასებასა და რეკომენდაციებს.

7.2 განვითარების ჯგუფი ატარებს საერთო კრებას კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და წევრთა ხმების უმრავლესობით ამტკიცებს ან უარყოფს პროექტს.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ განვითარების ჯგუფის წევრებს გაუჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება პროექტის შეფასების კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მათ შეუძლიათ მოითხოვონ შეხვედრა განმცხადებელთან და ამის შემდეგ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება.

7.4 განვითარების ჯგუფის მიერ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „LEADER“ კოორდინატორი პროექტის განაცხადებს წარუდგენს ანგარიშვალდებულ ორგანოს საბოლოო განხილვისთვის.

## **თავი 8. ინტერესთა კონფლიქტი და კონფიდენციალურობა**

### დანართი 3: LAG-ის წესდება

8.1 განვითარების ჯგუფის ყველა წევრი ხელს აწერს ინტერესთან კონფლიქტის დეკლარაციას (დანართი N 1).

8.2 განვითარების ჯგუფის წევრები თითოეულ დასაფინანსებელ პროექტთან მიმართებაში ახდენენ ინტერესთა რეგისტრაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის დროსაც თითოეული წევრი განაცხადებს თავის ინტერესს დასაქმებასთან, კომერციულ საქმიანობასა და რომელიმე გაერთიანების, დაწესებულების ან ორგანიზაციის (მათ შორის მოხალისედ საქველმოქმედო ორგანიზაციის ) წევრობასთან დაკავშირებით.

8.3 ინტერესთა რეესტრს აწარმოებს „LEADER“ კოორდინატორი.

8.4 განვითარების ჯგუფის ყველა წევრის მოვალეობაა უზრუნველყოს, რომ პირადმა ინტერესმა არ მოახდინოს გავლენა მათი, როგორც განვითარების ჯგუფის წევრის ფუნქცია-მოვალეობის შესრულებაზე, ქვე-პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესზე და გადაწყვეტილების მიღებაზე.

8.5 ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში წევრი ტოვებს ნებისმიერი სახის განხილვას და კარგავს ხმის უფლებას.

8.6 განვითარების ჯგუფის წევრებმა თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულებისას კონფიდენციალურად უნდა შეინახონ ქვე-პროექტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

8.7 განვითარების ჯგუფის წევრს არა აქვს უფლება მიიღოს საჩუქრები და ძღვენი მესამე პირისაგან, ან შესთავაზოს ისინი სხვას, თუ ეს საფრთხეს უქმნის ან აზიანებს მის მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას განვითარების ჯგუფში.

8.8 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ეჭვი 8.7 პუნქტში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, განვითარების ჯგუფის წევრმა კონსულტაციები უნდა გაიაროს „LEADER“ კოორდინატორთან.

### **თავი 9. განვითარების ჯგუფის ქონება**

9.1 განვითარების ჯგუფს საკუთრებაში გადაეცემა მისთვის პროექტის ფარგლებში სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ იგი პროექტის დასრულებისას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იქნება დარეგისტრირებული იურიდიულ პირად მეწარმე (არამეწარმე) იურიდიულ პირთა რეესტრში.

### **თავი 10. საჩივრების განხილვა**

10.1 საჩივრების მიღებას, განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას განვითარების ჯგუფში ახორციელებს „LEADER“ კოორდინატორი. „LEADER“ კოორდინატორმა ყოველ შემოსულ საჩივარს პასუხი უნდა გასცეს გონივრულ ვადაში.

10.2 თუ საჩივარი მიმართულია „LEADER“ კოორდინატორის მიმართ ან თუ საჩივრის ავტორი არ დაკმაყოფილდა კოორდინატორის მიერ მის საჩივარზე გაცემული პასუხით, საჩივარი განსახილველად გადაეგზავნება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

დანართი 3: LAG-ის წესდება

**თავი 11. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

11.1 წინამდებარე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება განვითარების ჯგუფის საერთო კრებაზე ხმათა არანაკლებ 2/3 გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო, სამოქალაქო (50%) და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შორის.

**თავი 12. განვითარების ჯგუფის წევრთა ხელმოწერა:**

წევრის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1. მიხეილ მეგდესიან		
2. გრაჩია მოვსესიან		
3. ავეტიკ ტონაკანიან		
4. მაქსიმ გილოიან		
5. თამაზ კარაპეტიან		
6. ვალიკო ქესპოიან		
7. თერეზა ჩივჩიან		
8. პარგევ იორდანიან		
9. შოლიკ რაისიან		
10. რამაზ გოგოლაძე		
11. ნაირი ირიციანი		
12. ოვიკ გილოიან		
13. ხათუნა ველიჯანაშვილი		
14. ვალერა სტელმაშოვ		
15. ენოკ ბაბაჯანიან		
16. კიმიკ იუზბაშიან		
17. აპეტნაკ ზარდანიან		
18. ოვიკ მურადიან		
19. რაფაელ კაროიან		
20. ლეილა მურადიან		
21. რაზმიკ მანუკიან		
22. სურიკ კარაპეტიან		
23. ეგიზარ აგაჯანიან		
24. ვალაშაკ შახბეკიან		
25. არუტიუნ აკოპიან		
26. შუშან შირინიან		
27. მახარე მაცუკატოვ		
28. დალი აღდგომელაძე		
29. მიხეილ კოლიკიდი		
30. მისაკ ალბერტიან		